პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 56 (3033)

22 მარტი 1966 წ.

სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკე მოიცვალა!

სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონი კალათბურთში — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი (მარჯვნიდან): გ. ვოლნოვი, ა. ალაჩაჩიანი, ა. ასტახოვი, ა. კულკოვი, რ. როდიონოვი, ი. კორნეევი, ო. ბოროდინი, ა. კოვალიოვი, ვ. ზუბკოვი (ავადმყოფობის გამო გუნდის წევრთა შორის არ არიან ი. ლიპსო და ა. ტრავინი).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

წარმოუდგენელი ამბავი მოხდა!

20 მარტს ლონდონის ვესტმინსტერის სასახლიდან, ზედ ინგლისის პარლამენტის ცხვირწინ, დღისით-მზისით, მოიტაცეს ოქროს ქალღმერთის ქანდაკება, გამარჯვების შეუდარებელი ქალღმერთის — ნიკეს ბაჯაღლო ოქროს გამოსახულება, რომლის გულისთვისაც უკვე სამი ათეული წელია თანამედროვეობის საფეხბურთო სამყარო „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ომს აწარმოებს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

ნამდვილი სკანდალია!

ინგლისელები, ფეხბურთის მამამთავრები და გამომგონებლები, არნახული სტუმართმოყვარეობით და ორგანიზაციული ბრწყინვალეობით აპირებდნენ „ჟიულ რიმეს თასის“ VIII გათამაშების ჩატარებას. და აი, მათი მასპინძლობა დაიწყო იმით, რომ თვალსა და ხელს შუა დაიკარგა უმაღლესი საფეხბურთო პრიზი.

ამ მცირე ხნის წინ მთელი მსოფლიოს პრესა მოიარა ამბავმა, თუ როგორ ჩამოიტანეს ლონდონში მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრის წინ ბრაზილიელებმა ოქროს ქალღმერთის ქანდაკება, როგორ გადაეცა იგი შესანახავად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს სერ ს. როუზს. ბრაზილიელებმა, რომლებიც ბოლო 8 წლის განმავლობაში ფლობდნენ ამ პრიზს, მისი ესკორტირება ლონდონში მიანდვეს გამოცდილ და წინდახედულ კაცს, ამ ქვეყნის სპორტის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ს. პაჩეკოს პაჩეკომ იცის თავისი საქმე, იცის ოქროს ქალღმერთის ფასიც. მან ამ ძვირფასი პრიზისთვის სადღაც გამოძებნა ძველი, გაცვეთილი ფუტლარი, რათა არავის მიექცია მისთვის ყურადღება და ისე უჩუმრად გაეპარა ბრაზილიიდან, კაცის შვილს არაფერი გაუგია. ასევე უხმაუროდ ჩაბარა მან ქანდაკება ფედერაციას და მხოლოდ აქ, როცა სახიფათო აღარაფერი იყო, მოექცა ნიკე საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

მაგრამ მხოლოდ ს. პაჩეკო როდი იყო ქალღმერთის ერთგული და აღიარებული კავალერი. იმავე კენჭისყრის დღეებში საერთაშორისო პრესის დიდი ყურადღებით სარგებლობდა იტალიის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ო. ბარასი და აი, რატომ. ომისწინა წლებში, როცა ჟიულ რიმეს თასი იტალიელთა მფლობელობაში იყო, ხოლო ო. ბარასი ასოციაციის პრეზიდენტი გახლდათ, ქანდაკება მასთან ინახებოდა. როცა მმართველობა იტალიაში ფაშისტებმა ჩაიგდეს ხელთ, ისინი დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ თასს. ფაშისტმა აგენტებმა გადაქექეს ყველაფერი, მაგრამ ბარასიმ სულ უბრალოდ გააცურა გამოცდილი მაძებრები: ოქროს ქანდაკება მან დამალა თავისი საწოლის ქვეშ, ძველი, ნახმარი ფეხსაცმელების გროვაში. 1946 წელს ბარასიმ დღის სინათლეზე გამოიტანა თავისი განძი და საკუთრივ ჩაიტანა იგი ლუქსემბურგში, სადაც მაშინ ფიფა-ს ხელმძღვანელობა იმყოფებოდა.



ასე სათუთად უვლიდნენ ქალღმერთ ნიკეს მისი ადრინდელი თაყვანისმცემლები, ინგლისში კი იგი ქურდების ნადავლად იქცა. აქ კარგა ხანს არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა ქანდაკება. მერე სრულიად მოულოდნელად გამოაცხადეს, რომ ქანდაკებას საჯარო სანახავად დგამდნენ ვესტმინსტერის სასახლეში. და აი აქ, საკვირაო წირვის დღეს, იგი მოიპარეს. ქურდებმა ჩუმად გატეხეს კარი, ახადეს მინის საფარი და გაუჩინარდნენ.

ინგლისის ცნობილი სკოტლანდ-იარდი ახლა ფეხზე დგას. ეს ხომ უბრალო ქურდობა არაა. ოქრო — ოქროდ, მაგრამ საქმე ეხება როგორც წმინდა ეროვნულ, ინგლისურ პრესტიჟს, ისე თანამედროვე ფეხბურთს. ნუთუ ინგლისელი ბანდიტები უნდა იყვნენ მფლობელები იმისა, რისთვისაც იბრძვიან გამოჩენილი ფეხბურთელები პელე, ეუსებიო, იაშინი და სხვანი?

სკოტლანდ-იარდმა სთხოვა ყველას, ვინც განველილ კვირას იმყოფებოდა წირვაზე და ნიკეს ქალღმერთის სანახავად ვესტმინსტერში, შეატყობინონ ყველაფერი საეჭვო, თუ კი ასეთი რამ, იქ შემჩნეულ იქნა.

არის ერთი საეგებიო ვერსია, რომ იმ კვირას ლონდონელ სტუდენტებს გართობის დღე ჰქონდათ და შეიძლება ამ ხუმრობის დღეს გადაწყვიტეს წაეოხუნჯათ საფეხბურთო სამყაროს ასეთი დაშინებით. ძნელი დასაჯერებელია ასეთი ხუმრობა!

საერთაშორისო პრესა მოუთმენლად ელის ცნობებს ინგლისის სკოტლანდ-იარდიდან.

• • •

1928 წელს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის მორიგ კონგრესზე ამსტერდამში მიიღო დადგენილება მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების თაობაზე, ხოლო ფიფა-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ფრანგმა ჟიულ რიმემ ცნობილ პარიზელ ოქრომჭედელ აბელ ლეფებვრს შეუკვეთა პრიზი. ლეფებვრმა მოდელად აირჩია გამარჯვების მითოლოგიური ქალღმერთი ნიკე, რომელსაც ზეაღმართულ ხელებში უპყრია თასი. გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. ფრთოსანი ქალღმერთი, როგორც გამარჯვების სიმბოლო, მუდამ თან ახლავს უზენაეს ღმერთს ზევსს. ლეფებვრმა ქანდაკება ბაჯაღლო ოქროსგან დაამზადა, რომელიც 1 კილოგრამსა და 800 გრამს იწონის და ღირს 10 ათასი დოლარი. მარმარილოს კვარცხლბეკიანად იგი 4 კილოგრამს იწონის. მისი სიმაღლეა 30 სმ.

მსოფლიო ჩემპიონატის დებულებაში წერია, რომ თასი მუდმივ მფლობელობაში გადაეცემა იმ სახელმწიფოს ფედერაციას, რომლის გუნდიც სამჯერ მოიგებს მას. ასე რომ, ურუგვაელებს, იტალიელებსა და ბრაზილიელებს შანსი ჰქონდათ სამუდამო მფლობელობაში მიეღოთ ოქროს ქალღმერთი ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მაგრამ, როგორც იცით, საქმეში ჩაერიენ ქურდები და თუ ქანდაკება დროზე არ იქნა აღმოჩენილი, საჭირო გახდება ახალი უმაღლესი საფეხბურთო პრიზის გაკეთება.



◆ **პარიზი**, 21 მარტი. ძიუდოში ევროპის ჭაბუკთა და იუნიორთა ჩემპიონატი აღინიშნა საბჭოთა მოჭიდაველების წარმატებით: მათ მოიპოვეს ოქროს 3, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს ამდენივე მედალი. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ მოსკოველები ვ. ბუტირსკი, ა. მერკულოვი და ვ. ტრეტიაკოვი. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა რიგელმა პ. მალინოვსკიმ, ხოლო ბრინჯაოსი — მოსკოველმა ვ. დონიჩევმა. დანარჩენი ოქროს მედლები მოიხვეჭეს ჰოლანდიელმა და ფრანგმა ძიუდოისტებმა (3-3). 1 „ოქრო“ ერგო დასავლეთგერმანელ მოჭიდაველს.

◆ **ორჯონიკიძე**, 21 მარტი. **სსრ კავშირის სამბისტთა გუნდური ჩემპიონატში გაიმარჯვეს დინამოელებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს.**

◆ **ლანსი**, 21 მარტი. საფრანგეთში ტურნეს მესამე მატჩი წაიგო მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა. იგი აქ დამარცხდა „რეინგკლუბის“ ფეხბურთელებთან — 0:1. აღსანიშნავია, რომ სპარტაკელებმა სამ მატჩში ვერც ერთი ბურთის გატანა ვერ შეძლეს.

◆ **ვენეცია**, 21 მარტი. აქ დამთავრებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ყველა 7 პარტია წაიგო ჯ. ფლეტჩერმა (იტალია). I ადგილი დაიკავა იუგოსლავიელმა დიდოსტატმა ბ. ივკოვმა — 5 ქულა. მან ჯერ კიდევ წინდღით გაიმარჯვა პირველობა და ამიტომ ბოლო ტურში უკვე მე-10 სვლაზე ყაიმით დასრულა შეხვედრა დანიელ ს. ჰამანთან. მოსკოველი დიდოსტატი ვ. ანტოშინი II ადგილზეა (4,5 ქულა).

◆ **ალექსანდრია**, 21 მარტი. ქალთა ტურნირში გამარჯვების შემდეგ კიეველმა გ. ბაკშეევამ ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან წყვილში სძლია ამერიკელი ცოლქმრის — გრეგნერების დუეტს — 6:2, 4:6, 6:1. ვაჟთა წყვილების ფინალში ს. ლიხაჩოვმა და ა. მეტრეველმა წააგეს ეგვიპტელ ი. შაფვისთან და ავსტრალიელ კ. ფლეტჩერთან—2:6, 6:4, 3:6.

◆ **ბერლინი**, 21 მარტი. ქალაქის გარეუბანში გამართულ არმიელ სპორტსმენთა ტრადიციულ მძლეოსნურ კროსში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. 4 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა კიელველმა ვ. კულინსკიმ — 11.39,8, ხოლო 10-კილომეტრიან დისტანციაზე—მოსკოველმა ნ. დუტოვმა — 29.37,4. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მძლეოსნებმა.

◆ **პარიზი**, 21 მარტი. ევროპული ქვეყნების 250 მოფარიკავე იბრძოდა აქ ა. რომელის თასის მოსაპოვებლად. საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც მანამდე ევროპის გუნდური თასი მოიგეს, მხოლოდ მეოთხედფინალამდე გაიღწიეს. მერე კი ვ. ელუდკომ წააგო რუმინელ ფალბუსთან, ვ. ედანოვიჩმა—ფრანგ დ. რევენიუსთან, ხოლო ამ თასის შარშანდელმა მფლობელმა გ. ხვეშნიკოვმა თასის 1964 წლის „პატრონთან“ — ჟ. მანიანთან (საფრანგეთი) — 4:5.

ᲥᲐᲯᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

● **პარიზი**, 20 მარტი. ევროპის თასი ფარიკაობაში კვლავ მოსკოველებმა დაისაკუთრეს. ფინალში ისინი ისევ გფრ-ის დედაქალაქის — ბონის სპორტსმენებს შეხვდნენ. გადამწყვეტი ორთაბრძოლები თავდაპირველად გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ მ. მიდლერისა და ვ. უდანოვიჩის წყალობით საბჭოთა გუნდი დაწინაურდა და გაიმარჯვა კიდეც — 9:5.

● **ვარშავა**, 20 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე მეოთხედფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი აზს-ავფ-სა და მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა (3:2), რომლებიც შეჯიბრების ნახევარფინალში გავიდნენ.

● **მინსკი**, 20 მარტი. დღეს აქ დამთავრდა მოფარიკავე ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ბელორუსიის თასზე“. ამ საპატიო ნადავლს ერთმანეთს ეცილებოდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის მოფარიკავეები და გუნდები. პირად შეჯიბრებებში ყველას აჯობა ბელორუსიელმა რაპირისტმა ს. სოლდატოვამ, რომელმაც ფინალურ ასპარეზობაში ზედიზედ მოიგო 4 ორთაბრძოლა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა სსრ კავშირის II ნაკრების წევრთან ნ. ივანოვასთან. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ბელორუსიის ნაკრებმა.

● **კადიეკა**, 20 მარტი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის. პირველობა წაუგებლად მოიპოვეს არმიელმა მოჭიდაველებმა. II ადგილზე გავიდნენ სპარტაკელები, ხოლო III — დინამოელები. წინა პირველობის ჩემპიონი — „ბურევესტნიკი“ IV ადგილს დაჯერდა.

● **არხანგელსკი**, 20 მარტი. **ბურთიან ჰოკეიში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მერვედ მოიხვეჭა სვერდლოვსკის არმიელთა გუნდმა, რომელმაც გათამაშების ბოლო შეხვედრაში დაამარცხა ადგილობრივი „ვოდნიკი“ — 4.3. სვერდლოვსკელებს 41 ქულა აქვთ. მათ 1 ქულით ჩამორჩნენ მოსკოვის დინამოელები, რომლებმაც მოიხვეჭეს „ვერცხლი“.**

● **ლენინგრადი**, 20 მარტი. დიდ ინტერესს იწვევს მძლეოსანთა აქ მიმდინარე ზამთრის საკავშირო პირველობა. სენსაციით აღინიშნა ქალთა შეჯიბრება ბირთვის კვრაში: მსოფლიოს რეკორდსმენმა თ. პრესმა („ტრუდი“) პირველობა დაუთმო თანაქალაქელს, ახალგაზრდა სპარტაკელ ნ. ჩიჟოვას, რომლის შედეგია 17,33 მ. პრესის მაჩვენებელი 13 სანტიმეტრით უარესია. დღეს მსოფლიოს ახალი მიღწევით (დახურული შენობებისთვის) დაგვირგვინდა 800 მეტრზე ქალთა რბენა. გამარჯვებულმა ვ. მუსანოვამ (მოსკოვი) აჩვენა 2.08,5. საკავშირო მიღწევებიც დამთავრდა ბ. სავჩუკის (ლენინგრადი) რბენა 300 მეტრზე (33,9 წამი). რიგელი ი. იაკუბოვსის რბენა 1500 მეტრზე წინაღობებით (4.03,8), გ. მიტროხინას (მოსკოვი) რბენა 100 მეტრზე (11,6), ს. ნაგორნის (მოსკოვი) სამხტომი (16,32 მ), გ. აგაპოვის (სვერდლოვსკი) რბენა 15 კმ-ზე (1:05.13.2), ვ. ანისიმოვის (კიევი) გამოსვლა 250 მეტრზე თარჯრბენში (30,7) და მოსკოველი ვ. კარასიოვის ასპარეზობა ბირთვის კვრაში (18,77 მ). ორჯერ გაიმარჯვა ტ. შჩელკანოვამ (ლენინგრადი): სიგრძეზე ხტომასა (643 სმ) და 60 მეტრზე რბენაში (7,3). ურო ყველაზე შორს ტყორცნა მინსკელმა რ. კლიმმა — 66,54 მ. ბადრის მტყორცნელთა შორის უძლიერესი იყო სვერდლოვსკელი ლ. შჩერბაკოვა — 51,18 მ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა.

● **ტუნისი**, 20 მარტი. აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველი მატჩი წააგეს ქვეყნის ნაკრებთან — 1:2.

შვიდიდან 6

რიგა, 21 მარტი. გუშინ აქ დამთავრდა 10 ქვეყნის ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების ბოლო დღეს გამოირკვნენ გამარჯვებულნი სამშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონებში. სამივე წონაში გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე საბჭოთა ძალოსნები ავიდნენ. სამშუალო წონაში უძლიერესი იყო კიეველი ვ. ბელიაევი — 465 კგ (იგი საკავშირო რეკორდის ავტორიც გახდა ატაცში — 145 კგ). ამავე წონაში საბჭოთა ძალოსანმა ვ. ისაკოვმა აჭიმა 161 კგ, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია.

ქვემძიმე წონაში პირველი იყო დნეპროპეტროვსკელი ვ. ბროვკო — 472,5 კგ. II ადგილზე დარჩა ი. პალინსკი (პოლონეთი) — 465 კგ, ხოლო III — გ. ტოტი (უნგრეთი) — 455 კგ.

მძიმე წონაში შეუდარებელი იყო ზაპოროჟიელი გოლიათი ლ. ჟაბოტინსკი — 545 კგ. II ადგილი დაისაკუთრა ბელგიელმა ს. რედინგმა — 512,5 კგ, ხოლო III — უნგრელმა კ. ეჩერმა — 502,5 კგ.

ამრიგად, 7 წონითი კატეგორიიდან ექვსში საბჭოთა ათლეტებმა გაიმარჯვეს.

გარდაბნელთა კიდევ ერთი თაოსნობა

თავის დროზე გარდაბნის რაიონულ ცენტრში კარგა მოზრდილი მოედანი გამოიყო სტადიონის მშენებლობისთვის. პირველი სამუშაოები 1957 წელს დაიწყეს, დამხმარე სათავსო ააგეს, ტრიბუნებს ბეტონის საძირკველი ჩაუყარეს და... მიივიწყეს.

გ. ნადაშვილი დიდი ხანი როდია, კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობს. გარდაბნელთა თავკაცი თავიდანვე დაინტერესდა უპატრონოდ მიტოვებული მოედნით და ამ საქმის თაობაზე აღმასკომის თავმჯდომარეს დ. დათუაშვილს მოეთათბირა. სტადიონის ასაგებად შალე თანხებიც გამოიყო. ფეხბურთის მინდვრის გარდა, გადაწყდა მოეწყოს მძლეოსნური სექტორები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. სტადიონის ტერიტორიაზე აიგება საცურაო აუზი და დარბაზი მოჭიდავეთა და ძალოსანთა წვრთნისთვის, ხოლო აქ უკვე არსებულ ნაგებობას სპორტულ დარბაზად გადააკეთებენ.

ამ შესანიშნავ წამოწყებას მიეძღვნა პარტიის რაიონული კომიტეტის საგანგებო სხდომა, რომელზეც კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები, სპორტკავშირის წარმომადგენლები და მოწინავე სპორტსმენები იყვნენ მიწვეული. სხდომამ დაწერილებით განიხილა და დაამტკიცა მშენებლობის პროექტი.

შალე მუშაობაც გაჩაღდა. მოედანი დახაზეს და ტერიტორიიდან ზედმეტი მიწა გაიტანეს. ახლა ბულდოზერი საფეხბურთო მოედანს „უტევს"... ცოტა ხანში ბელტსაც შემოზიდავენ და „მწვანე ხალიჩას დააგებენ".

სამუშაოებს კარგად აწარმოებს რუსთავის ქიმიური მრეწველობის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო (სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ა. კუპუხიძე), მშენებლობის შეფობა კი გარდაბნის მე-10 პროფტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი რ. გეორგიზოვი) აღსაზრდელებმა იდეს თავს. მომავალი მეჭანიზატორები საწარმოო პრაქტიკასაც გადიან.

მშენებლებმა ივალდებულეს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზის კომპლექსი გარდაბნელებს მაისში ჩააბარონ.

თავის დროზე რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და სოფელში გამოეხმაურნენ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეთა თაოსნობას, რომელთაც სპორტული ბაზების მოწყობა ივალდებულეს. ახლა გარდაბნის რაიონულ ცენტრში ახალი წამოწყება დაიბადა. მივიწყეს მშენებლობებსა და სპორტულ ბაზებზე ზრუნვა პატარა საქმე როდია. მისასალმებელი იქნებოდა, გარდაბნელებისთვის ამ საქმეშიც ებაძათ მზარი ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებს.

ვ. გუკია.

(ჩვენი სპეც. კორ.).

გარდაბანი.

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ნ. ჩიქობავა — თბილისის ჩემპიონი

დედაქალაქის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილენი და გულშემატკივარნი მოუთმენლად ელოდნენ დასკვნითი ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა გოგიავას 4 დაუმთავრებელი პარტია. საქმე ის არის, რომ მხოლოდ მას შეეძლო დაწეოდა ერთპიროვნულ ლიდერს ჩიქობავას. გამოცდილმა მოჭადრაკემ მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა. მართალია, ხუბულურთან მოგებით მან ერთი კონკურენტი ჩამოიშორა, მაგრამ სარაიდაროვასა და ბელოზიოროვასთან ვერაფერი გააწყო და დამარცხდა. გოგიავას პარტია ჩიქობავასთან ყაიმით დამთავრდა.

სამაგიეროდ, ჩიქობავამ ფარ-ხმალი დააყრევინა პილცერს და თბილისის ჩემპიონის სახელი გაინაღდა.

სარაიდაროვამ მაჯაც ბელოზიოროვას, ნაჭყებიანმ — კუპრეიჩიკს, ხოლო ჩიბასოვმა — ჩომახიძეს, ხოლო ჩომახიძემ — მანველოვას. ყაიმით დამთავრდა პილცერ — ნაჭყებიასა და სარაიდაროვა — ხუგაშვილის პარტიები.

11 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: ნ. ჩიქობავა (9,5), ჭ. გოგიავა (7,5), ნ. ხუბულური, ლ. ნაჭყებია (6,5-6,5), თ. ხუგაშვილი, ლ. ბელოზიოროვა (6-6).

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

თბილისის მოშაშეთა პირველობის V ტურში დაწინაურდნენ თ. ბარამიძე, პახლაჯიანი და სპესიცევი. პირველმა მოუგო რაჟამაშვილს, მეორემ — მაღალაშვილს, მესამემ კი — ერთ-ერთ ლიდერს ხუციშვილს. დანარჩენ შეხვედრებში ძამუკაშვილი დამარცხდა ჩერკაშინთან, მამაკოვი — კარმაზიანთან, ხოლო ბახტაძე — რუსია და თუმანიშვილი — ხარებოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ავადმყოფობის გამო ასპარეზობას გამოეთიშნენ გ. მინასიანი და ვ. ინწკირველი.

საინტერესო გამოდგა გადადებული პარტიების დამთავრების დღე. პირველი დამარცხება იწვნია ოსტატმა პახლაჯიანმა ციმბალისტთან შეხვედრაში. სპესიცევმა წააგო თავის აღმზრდელთან, ოსტატ ბარამიძესთან.

5 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა თ. ბარამიძე. ხ. პახლაჯიანს, ი. ჩერკაშინსა და ჯ. კარმაზიანს 3,5-3,5 ქულა აქვთ.

Თ. ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ავტო-მოტოკლუბმა გამართა მოტოციკლისტთა შეჯიბრება ფიგურულ სვლასა და ტრამპლინიდან ხტომაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ენგურჰესის კოლექტივმა. პირად პირველობაში უძლიერესნი იყვნენ: ფიგურულ სვლაში — ა. კორნეიჩუკი, ტრამპლინიდან ხტომაში — ვ. ბელენკო (ორივენი — ენგურჰესი).

• • •

რაიონის პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში მოიგო მე-5 ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდმა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ფ. კაკულიამ (ჩაის საწნეხი ფაბრიკა).

ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ.

(ჩვენი კორ.).

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

პიონერთა სასახლის გარდამავალი თასისთვის ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის 12 საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდებმა. უძლიერესი აღმოჩნდა თელავის მე-4 საშუალო სკოლის კოლექტივი. II ადგილი წილად ხვდა თელავის მე-2 საშუალო სკოლას, III — სოფელ კონდოლის საშუალო სკოლის სპორტსმენებს.

გ. ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲒᲐᲤᲮᲣᲚᲘᲪᲐᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲗᲐᲠᲘᲪ

გაზაფხულის სურნელება მხოლოდ რესპუბლიკის დედაქალაქში როდი იგრძნობა. გაზაფხულის სიომ ბაკურიანშიც დაჰბერა. ბაღბოსტნები მწვანე საბოსით შეიმოსა, აჭა-იქ ენძელუბმაც წამოყო თავი. ქუჩები გაშრა, დაბაში ველარ შეხვდებით პალტოებსა თუ ქურქებში გამოწყობილ ადამიანებს. მცხუნვარე მზეზე შილიფად ჩაცმული ახალგაზრდები გარს შემორტყმიან სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადიდან დაბრუნებულთ...

ერთი სიტყვით, ბაკურიანშიც გაზაფხულია. მაგრამ ბაკურიანში ზამთარიცაა... გაზაფხულს მის დაბლობ ნაწილში მოუკიდებია ფეხი, ცოტა მაღლა კი კვლავ ზამთარი ბატონობს — — ყველაფერი თეთრ საბურველშია გახვეული. კოხტაგორის თავზე ყაბალახივით შემოხვეული ღრუბელი ფარივით იცავს მზის ისრებისგან თეთრ სამეფოს.

ასე იყო გუშინწინაც, როცა კოხტის წვერზე შეგროვდნენ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილე სლალომისტები.

ასპარეზობა 18 მარტს დაიწყო. გიგანტური სლალომის 1.500-მეტრიან ტრასაზე (31 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 300 მ) 31 ჭალი იბრძოდა. გამარჯვება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. დემიდოვამ (ლენინგრადი) — 1.17,3. სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. კაბინა (მოსკოვი) II ადგილით დაკმაყოფილდა — 1.18,2.

კარგად იარა საქართველოს გუნდის წევრმა, ახალგაზრდა ბაკურიანელმა ნ. ომიაძემ. მან V შედეგი (1.23,4) აჩვენა და ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

იგივე ტრასა უნდა გაევლოთ ვაჟებს. მონაწილენი ზედიზედ მიჰქროდნენ ფინიშისკენ და როცა უკანასკნელმა რბოლა დაამთავრა, მსაჯებმა გამოაცხადეს შედეგები. შესანიშნავად გამოვიდნენ საქართველოს გუნდის წევრები: ათეულში მათ 4 ადგილი დაისაკუთრეს: II — გ. აბრამიშვილმა — 57,9, III — ი. ოგანეზოვმა — 58,4, VII — შ. კოზანაშვილმა — 1.00,4, IX — ი. ჯანგობეგოვმა — 1.02,2. გაიმარჯვა ა. ბარანოვმა (მოსკოვი) — 57,3.

ტრასის სიგრძის უკმარისობის გამო სწრაფდაშვების ნაცვლად ასპარეზობის მეორე დღეს ისევ „გიგანტი აჩვენეს", ოღონდ ამჯერად ტრასაზე 36 კარი იყო დადგმული.

კაბინამ შეძლო რეკორდის აღება — 1.14,8. დემიდოვა გამარჯვებულს ზუსტად 1 წამით ჩამორჩა, მაგრამ ეს იყო ისეთი წამი, რომელიც ორი დღის ჯამში მოსკოველს 0,1 წამით უპირატესობას აძლევდა და, მაშასადამე, სამჭიდში გამარჯვების უფრო მეტ შანსსაც.

ომიაძე გამოვიდა VIII ადგილზე — 1.21,9.

ვაჟებში ისევ ბარანოვმა იმარჯვა — 1.04,0. ფინიშზე მან 0,1 წამით მიასწრო სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. ფილატოვს. აბრამიშვილმა და ოგანეზოვმა ერთნაირი დრო (1.05,0) აჩვენეს და III-IV ადგილები გაიყვეს (კოზანაშვილი გავიდა VI ადგილზე — 1.06,2, ჯანგობეგოვი — VII — 1.06,5).

კვირას ქალები ისვენებდნენ, ვაჟები კი სამჭიდის ბოლო სახეობაში — სპეციალურ სლალომში ასპარეზობდნენ. პირველივე ცდაზე დაწინაურდა გ. აბრამიშვილი — 57,8. მას ყველაზე მეტად მიუახლოვდნენ ფილატოვი (58,2) და ჯანგობეგოვი (58,3). რაც შეეხება ბარანოვს, იგი მეტისმეტად ფრთხილობდა და ტრასის გავლას 1.01,6 მოანდომა. ეს სპორტსმენს აშკარა მარცხით ემუქრებოდა, ამიტომაც მეორე ცდისას მან მაქსიმალური სისწრაფე „ჩართო" და საუკეთესო დროც (52 წამი) აჩვენა, მაგრამ ვეიან იყო. აბრამიშვილმა კვლავ კარგად იარა (52,6) და სპეციალურ სლალომში ჩემპიონობაც მოიპოვა — 1.50,4. II პრიზიორი ბარანოვი ქართველ სპორტსმენს 3,2 წამით ჩამორჩა.

სამჭიდშიც აბრამიშვილს დარჩა გამარჯვება. II იყო ბარანოვი, III — ჯანგობეგოვი.

Ო. ᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: სპეციალურ სლალომსა და სამჭიდში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გ. აბრამიშვილი შეჯიბრებისას.

ფოტო ავტორისა.

„ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ" ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲠᲝᲓᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ

თბილისის 1-ლი მაისის რაიონის მოსწავლე-მძლეოსანთა ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა. პიონერულ ოთხჭიდში გაიმარჯვა მე-19 სკოლის მეექვსეკლასელმა ვ. ბიკოვმა (60 მ რბენა — 8,4, სიგრძე — 446, სიმაღლე — 135, ბურთის ტყორცნა — 55 მ). გოგონებში უძლიერესი იყო შარშანდელი ჩემპიონი, მე-20 სკოლის მერვეკლასელი გ. ბაზიანი (60 მ რბენა — 8,8, სიგრძე — 396, სიმაღლე — 125, ბურთი — 24 მ).

სხვა მონაწილეთა შორის კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს: მე-19 სკოლის მეცხრეკლასელმა მ. ჯინჯიხაშვილმა (100 მ — 11,9), 116-ე სკოლის მერვეკლასელმა ი. ფედოტოვამ (500 მ — 1.30,0), 25-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ო. ჩახუნაშვილმა (ბირთვი — 11,40), მე-20 სკოლის მეათეკლასელმა თ. ციხვაძემ (სიგრძე — 672).

მაგრამ ასპარეზობის თითო-ოროლა კარგი მაჩვენებელი ძალიან დაჩრდილა სხვა დაბალმა შედეგებმა. 100 მეტრზე რბენაში გოგონათა უმრავლესობა ვერ „გაექცა" 17-18 წამს, სიმაღლეზე ხტომაში ვერ ასცილდა 115 სმ-ს, სიგრძეზე ხტომაში კი — 320 სმ-ს. ისიც უნდა ითქვას, რომ რბენის ბევრ სახეობაში სტარტზე გავიდა მხოლოდ 3-4 მონაწილე. მაგალითად, 800 მეტრზე რბენაში ასპარეზობდა 3 გოგონა და მათში გამარჯვებულმა ვ. ვირიოვკინამ (მე-19 სკოლა) აჩვენა... 3.45,0, ხოლო 24-ე სკოლის მოსწავლე, 17 წლის გ. მდივანი სიგრძეზე გადახტა... 195 სანტიმეტრზე (!). მე-2 გახანგრძლივებული სწავლების საშუალო სკოლის (ფიზიკურ მასწავლებელი რ. გურგენიძე), 22-ე სკოლის (ვ. ჩიტიაშვილი) და 101-ე სკოლის (ნ. პიტუევი) საშუალო და უფროსი ასაკის მძლეოსნები საერთოდ არ მოვიდნენ საასპარეზოდ.

აღნიშნული ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ რაიონის სკოლებში არ ზრუნავენ „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის, ბევრგან შექმნილი არ არის მძლეოსნობის სექციები, სპორტულ სკოლაში კი მხოლოდ 65 ბავშვი ეუფლება ამ საინტერესო სახეობას.

რაიონული პირველობა ხასიათდებოდა სხვა ნაკლოვანებებითაც. კვალიფიციური მსაჯების უყოლობის გამო მათს მოვალეობას ასრულებდნენ ფიზიკურ მასწავლებლები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ 1-ლი მაისის რაიონის სპორტკავშირმა თავი ვერ მოაბა მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის შექმნას და სემინარების გამართვას. არავის უზრუნია გამარჯვებულთა დაჯილდოებაზე.

საყვედური ღირსია ლენინის სახელობის სტადიონის დირექციაც, რომელმაც ვერ უზრუნველყო ტურნირის ნორმალური ჩატარება: მძლეოსნებს ასპარეზობაში ხელს უშლიდნენ ფეხბურთელები, რომლებიც სწორედ ამ დროს ვარჯიშობდნენ.

ვ. ᲑᲣᲙᲘᲜ,

I კატეგორიის მსაჯი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ



ახალგაზრდებს მუდამ ერჩით გული, — ბრძოლა სწყურიათ და ყოველ მეხვედრაში გამომწვევად თამაშობენ. სწორედ ასე იბრძოდნენ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის V ტურში უბილავა, გიორგაძე, ჩეჩელიანი და კერნოჟიცკი.

ახალგაზრდულ შემართებას ყველაზე მეტად შეეფერება ძველინდური დაცვა, რომლის მრავალი პოზიცია აღსავსეა სინტერესო შესაძლებლობებით. ეს დებიუტი აირჩიეს ჩეჩელიანმა (ჯინჯიხაშვილთან) და კერნოჟიცკიმ (ბუსლაევთან).

14 წლის ჩეჩელიანმა მხოლოდ დასაწყისში გამოამჟღავნა ინიციატივისკენ ლტოლვა. მიტელშპილში იგი პასიურად თამაშობდა, ლაზიერების გაცვლის შემდეგ კი იძულებული შეიქნა ყრუ დაცვაზე გადასულიყო. ჯინჯიხაშვილმა მეთოდურად გაწურა შავების პოზიცია, მოიგო 2 პაიკი და პარტიაც.

კერნოჟიცკიმ უკვე მე-9 სვლაზე შეწირა ხარისხი ოსტატს და უჩვეულო პოზიცია მიიღო. შემდგომი თამაშის ბედი მთლიანად გამოცდილებასა და განჭვრეტის უნარზე იყო დამოკიდებული. ახალგაზრდა მოჭადრაკე ვერ ჩაწვდა პოზიციის ნიუანსებს და მისი ინიციატივა მალე ჩაქრა. ბუსლაევმა, რომელიც კერნოჟიცკის მწვრთნელია, მოწაფეს პოზიციური უპირატესობის გამოყენების კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაუტარა და 34-ე სვლაზე გაიმარჯვა.

გიორგაძემ ოსტატურად დალაშქრა რაზოვსკის პოზიცია. საინტერესოა, რომ ორივე მოჭადრაკე ცნობილი ქუთაისელი მწვრთნელის დ. ჩირაძის აღზრდილია. ბავშვობაში მათ ბევრი სატურნირო პარტია უთამაშიათ, მაგრამ, ალბათ, არც ერთი არ იყო ეფექტური. გაიმარჯვა გიორგაძემ.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს 15 წლის უბილავას ბრძოლისუნარიანობა: იგი გამოცდილი მებრძოლივით, აუღელვებლად თამაშობს უკიდურესად დაძაბულ პოზიციებშიც კი. თოხაძესთან მან უპირატესობა ვერ მოიპოვა, მაგრამ მოთმინებით ეძებდა სუსტ ადგილებს მეტოქის ბანაკში და რომ თოხაძეს შეცდომით არ დაეთმო პაიკი, პატერობა, ალბათ, ხანგრძლივი იქნებოდა. ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა — თოხაძე მხედრის დაკარგვის გარდუვალობის წინაშე აღმოჩნდა. 33-ე სვლაზე ლანჩხუთელმა მოჭადრაკემ უბილავას გამარჯვება მიუღოცა.

გურგენიძემ მოუგო ალექსანდრიას. ყაიმზე შეთანხმდნენ გვენცაძე — მუკნიაშვილი და ჩაგუნავა — ბოკუჩავა.

Თ. ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ფინიშის სწორზე

ურიონელი კალამგზრილთა

ცსკა-მ ფერი არ იცვალა

ამბობენ, ნაჩქარევი არაფერი ვარგაო. ცსკა-ს კალათბურთელები ამ აზრს არ იზიარებენ: მათ ოქროს მედლები საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გაინაღდეს და თავსაც ბედნიერად გრძნობენ. დარჩენილ ოთხ კალენდარულ დღეს არმიელები, ასე ვთქვათ, ჩემპიონის სიმაღლიდან დაჰყურებენ. სპორტულ ენაზე ამას აშკარა უპირატესობით გამარჯვება ჰქვია.

ცსკა-ს ახლა ყოველგვარ კომპრომისზე შეუძლია წასვლა. კინაიდან საფინიშო ციებ-ცხელებამ მისთვის აზრი დაკარგა. დარჩენილ შეხვედრათა მოგება მისთვის ახლა მხოლოდ პრესტიჟის საქმეა. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ არმიელებს წინ აქვთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხისმგებლო მატჩები და, შესაძლოა, მძაფრ ბრძოლას დასვენება არჩიონ. მაგრამ ეს უკვე გუნდის შინაური საქმეა და ჩვენ მხოლოდ ბრწყინვალე გამარჯვება შეგვიძლია მივულოცოთ მათ.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ახალი ჩემპიონის გზა სულ ია-ვარდით იყო მოფენილი. კალათბურთის იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ასვლამდე ცსკა-მ ბევრი უსიამოვნო წუთი განიცადა. გაიხსენეთ, თუნდაც, კვირადღის თამაში კიეველ თანაკლუბელებთან (მატჩი, რომლის მოგებამაც მათ უმაღლესი ტიტული მოუტანა).

თავდადება! რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას სპორტულ ბრძოლაში. თავდადებით, რომელსაც აზრიანი, გამიზნული მოქმედება წარმართავს, მთებს შეძრავს კაცი. სწორედ ასეთმა თავდადებამ დაამარცხებინა ლენინგრადის „სპარტაკს“ ტარტუს „კალევი“, გუნდი, რომელსაც სპეციალისტთა უმრავლესობა თანამედროვე კალათბურთის უტალონად მიიჩნევს.

მეორე მაგალითი: რიგის არმიელთა მატჩი ჩვენი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონთან — კიევის „სტროიტელთან“. ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ „სტროიტელი“ დათმობდა მოგებას და ისიც მაშინ, როცა ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლაში „ყალგირისის“ სახით მას მრისხანე მეტოქე გამოუჩნდა. მაგრამ რიგელებმა „სტროიტელს“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. და ვინაიდან ამ თავდადებას გამარჯვების მარტო შიშველი სურვილი არ წარმართავდა, მას ლოგიკური შედეგიც მოყვა. არმიელებმა მცირე ტაქტიკური უპირატესობა თანდათანობით გადაზარდეს რეალურ სიდიდეში, რაც მატჩის ბოლოს 10-ქულიან უპირატესობაში გამოისახა.

წარმატება თავისით არ მოდის — მატჩის მოგებასაც ცოდნა უნდა. ერთმა რიგელმა ჟურნალისტმა პირად საუბარში გაგვანდო: არც ერთი გუნდის კალათბურთელები არ ხტებიან ისე მაღლა და არ არიან ისე სწრაფები და მოქნილნი, როგორც თბილისელები. მაგრამ დინამოელებმა არ იციან, როგორ უნდა მოგება და ორი გუნდის საყოფ ვებერთელა ენერგიას უქმად ხარჯავენ.

თავისებური, მაგრამ სწორი ნათქვამია.

რა სარგებლობა მოაქვს სხიერელის აკრობატულ და ეფექტურ ნახტომს „ზედ კალათზე“, როდესაც, ვთქვათ, უგრუხელიძის მიერ ნასროლი ბურთი უკვე მიზანს აღწევს? არაფითარი. პირიქით, სხიერელი ენერგიასაც ტყუილუბრალოდ ფლანგავს და კალათისაკენ მიშავალ ნაღდ ბურთს ზოგჯერ მიმართულებას უცვლის.

გუშინწინ „დინამომ“ წააგო ვეფ-თან და ისევ „ტრადიციული“ 6-ქულიანი სხვაობით. ლატვიელებმა დაგვჩაგრეს კალათბურთის თამაშში, მაგრამ ვერ გვაჯობეს ხტომებსა და ენერგიის ფლანგვაში. ახლა ჩვენს გუნდს დაეწია „ურალმაში“ და მან აუტსაიდერთა უსიამოვნო კომპანიაში ამოყო თავი.

„დინამოს“ შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები. ორმა წამყვანმა წევრმა გუნდი დატოვა. ეს, ცხადია, საარძნობი დანაკლისია. მაგრამ სპეციალისტთა აზრით, დინამოელთა შორის იმდენი მალალი კლასის კალათბურთელია, რომ ამ გუნდს, უბრალოდ, არ ეკადრება IX ადგილზე ყოფნა.

ნ. ახვლედიანი.

* * *

მოგვყავს II კალენდარული დღის შეხვედრათა შედეგები: „ყალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (ლენინგრადი) 58 : 55 (26 : 20). „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 64 : 61 (18 : 27), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „კალევი“ (ტარტუ) 63 : 58 (24 : 28), ცსკა — ასკ (კიევი) 78:73 (44:32), ვეფ (რიგა) — „დინამო“ (თბილისი) 69 : 63 (34 : 33), ასკ (რიგა)—„სტროიტელი“ (კიევი) 72 : 62 (33 : 33).



ჩემპიონთა ალმაზრდელი

თამაშს გულმოდგინედ ადევნებს თვალს სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-ს მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ალექსეევი. მოსკოვის არმიელთა ბოლოდროინდელი წარმატებები როგორც „შინაურ ფრონტზე“, ისე საზღვარგარეთ, მეიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა კალათბურთის ამ შესანიშნავი ოსტატის სახელთან. ალექსეევის გვერდით ჩვენ ხედავთ არმიელთა გუნდის წევრს ა. ალაჩაჩიანს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ინტერვიუ“

ლაპარაკობენ მწვრთნელები

ი. კულამი

(„კალევი“, ტარტუ)

● ვინ მიგაჩნიათ საბჭოთა კალათბურთის საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად?

— წარსულში ო. ჭორჭია. ღღეს კი მოსკოვის დინამოელი ა. პეტროვი, რომელიც, სამწუხაროდ, თბილისის ტურში არ გამოდის.

● გაქვთ თუ არა კალათბურთის თამაშის სურვილი?

— ზოგჯერ მართლაც მაქვს სურვილი, მაგრამ წლები... წლები...

● რომელი კალათბურთი მოგწონთ — ძველი თუ ახალი?

— ძნელი შეკითხვაა, მით უმეტეს, რომ ასეთ კლასიფიკაციას იშვიათად მიმართავენ. მაგრამ შევეცდები შეძლებისდაგვარად გიპასუხოთ. თანამედროვე კალათბურთში მომწონს ის, რომ ბურთს 30 წამზე მეტს ვერ გააჩერებ. მაგრამ თანამედროვე კალათბურთმა „შვა“ გიგანტები, რამაც თავის მხრივ დაბადა ზონა, რომლის დიდი მტერი გახლავართ. გიგანტებს, როგორც წესი, არ აქვთ ტექნიკა. უტექნიკო კალათბურთი კი საშინელებაა. ძველად, ჩემ დროს, ტექნიკური მოთამაშეები ბლომად იყვნენ და კალათბურთიც უფრო ეფექტურ სანახაობას წარმოადგენდა.

● რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ?! ?!

● სხვა გუნდის რომელ მოთამაშეს ისურვებდით თქვენი კოლექტივის ხუთეულში?

— კაუნასელ პაულაუსკასს და ჩემს თანამემამულე ლიპსოს.



მ. პაულაუსკასი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისში ორჯერ „დაბადებული“

ეან ორჯერ იზეიმა დაბადების დღე საქართველოს დედაქალაქში. პირველად 1964 წელს, როცა 19 წლისა გახდა. მოდესტას პაულაუსკასს მაშინ თითქმის არავინ იცნობდა: კაუნასელი ჭაბუკი ის-ის იყო მიადგა დიდი კალათბურთის კარიბჭეს.

მეორედ ეს მოხდა გასულ შაბათს, თბილისის სპორტის სასახლეში. უკვე ცნობილმა სპორტსმენმა, სსრ კავშირის ნაკრების მოწინავე წევრმა ორეული კაუნასიდან ბევრი დეპეშა მიიღო. კალათბურთელის მშობლები, ნათესავები, მეგობრები და, უბრალოდ, გულშემატკივრები ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლესა და წარმატებებს უსურვებდნენ მოდესტასს. ყველა დეპეშაში, ცხადია, იყო „მუდარა“ — ფინიშზე კარგად ითამაშეთო...

თავიანთი წევრის „იუბილე“ განსაკუთრებით იზეიმეს თანაგუნდელებმა, რომლებმაც პაულაუსკასს ქართული მამაპაპური ხანჯალი მიართვეს — გამარჯვებისა და მტერთა შემუსვრის სიმბოლო. სწორედ რომ დროული საჩუქარია!



გუშინ...

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	19	18	1	18
„ყალგირისი“ კაუნ.	19	12	7	12
„სტროიტელი“ კიევი	19	12	7	12
ვეფ რიგა	19	11	8	11
„სპარტაკი“ ლენინგ.	19	10	9	10
ასკ რიგა	19	10	9	10
„კალევი“ ტარტუ	19	9	10	9
ასკ კიევი	19	9	10	9
„ურალმაში“ სვერდ.	19	8	11	8
„დინამო“ თბილისი	19	7	12	7
ასკ ლენინგრადი	19	4	15	4
„დინამო“ მოსკოვი	19	4	15	4

თბილისის სპორტის სასახლეში კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის III კალენდარული დღე იყო. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: „სტროიტელი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 68:54 (31:24), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (ლენინგრადი) 71:58 (32:31), ასკ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 71:48 (36:23), ასკ (რიგა) — „ყალგირისი“ (კაუნასი) 75:73 (31:47, 66:66), ცსკა — „დინამო“ (თბილისი) — 55:50 (28:19), ვეფ (რიგა) — „კალევი“ (ტარტუ) 53:50 (23:29).

კიევის „სტროიტელში“ ვ. გლადუნი გამთამაშებლის როლს ასრულებს. იგი ერთ დროს ამ ფუნქციას სსრ კავშირის ნაკრებშიც ასრულებდა. მაგრამ თუ გუნდის ინტერესები მოითხოვს, „პატარა ტანის“ გლადუნი თამამად ეამეცა ფარქვეშ თამაშშიც. სურათზე გლადუნს თქვენ სწორედ მისთვის ამ „უჩვეულო“ როლში ხედავთ...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ინტერვიუ“

ლაპარაკობენ მწვრთნელები

ო. ალტბერგი

(ვეფ, რიგა)

● ადრე თქვენ რიგის ტტტ-ს მწვრთნელი იყავით. სად უფრო სახიამოვნოა მუშაობა, ვაუებთან თუ ქალებთან?

— ვაუებთან, ვინაიდან ისინი უფრო დამჯერი არიან. ქალები (ამას რა თქმა უნდა, ყველა ქალი არ მიწყენს) ყოველ შენიშვნას მტკივნეულად განიცდიან.

● ვინ მოიგებს მომავალ ოლიმპიურ ტურნირს?

— მოხარული ვიქნები, თუ ოქროს მედლებს ჩვენი ბიჭები მიიღებენ, მაგრამ არა მგონია. ჩვენ არ გვყავს ექსტრა-კლასის ცენტრალური თავდამსხმელები, უამისოდ კი ოლიმპიურ ტურნირში ფონს გასვლა ძნელია. ვფიქრობ, „ოქრო“ ამერიკელებს დარჩებათ, „ვერცხლი“ — ჩვენ.

● რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ტარტუს „კალევი“.

● სხვა გუნდის რომელ მოთამაშეს ისურვებდით თქვენს ხუთეულში?

— რა თქმა უნდა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს — ვოლნოვს.

მ. ვალდმანისი

(ასკ, რიგა)

● ბოლო დროს რატომ დათმეს პოზიციები რიგის არმიელებმა?

— გუნდიდან 6 წამყვანი შოთამაშე წავიდა, ახლანდელი კოლექტივი კი შეთამაშებული არ არის. „ახალბედები“ (ასე ვეწოდებთ მათ იმიტომ, რომ ჩვენი გუნდისთვის ისინი ახლები არიან) ჯერ შორს დგანან დიდი კალათბურთისგან. მათ აკლიათ როგორც ფიზიკური, ისე ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადება. თუ რაიმე წარმატებას ვაღწევთ, მხოლოდ-მხოლოდ ტრადიციის წყალობით.

● რას უსურვებდით თქვენს მუდმივ მეტოქეებს — ვეფ-ის კალათბურთელებს?

— ფინიშზე წარმატებას. ისინიც ხომ ლატვიური კალათბურთის წარმომადგენლები არიან!

● რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ტარტუს „კალევი“.

● სხვა გუნდის რომელ მოთამაშეს ისურვებდით თქვენს ხუთეულში?

— ვოლნოვს.

ტურნირი შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე

გოლების ზიმზილი „ბურევესტნიკის“ სტადიონზე

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 20 მარტი.

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „დინამო“ (სოხუმი) 0 : 0.

„ალაზანი“: ჭუნიაშვილი, გუმბერიძე, სამნაშვილი, მაჭავარიანი, ვართანოვი, ზაქარეიშვილი, ყურაშვილი, აუშტროვი, წოწორია, ჯავახიშვილი, საბანაძე (კუპრაშვილი).

„დინამო“: ნიშნიანიძე, დარახველიძე, უსტაბაშიდი, პეტრიაშვილი, კიკორია, გაბისკირია, შ. სიჭინავა, ფიფია, ეზუხბაია, სვერიდოვი (გაბელია), ჭითანავა.

მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

ეტყობა, ამ ადრეულ პერიოდში თავდამსხმელებს უფრო უჭირთ თამაში, ვიდრე დაცვითი ხაზების წევრებს. გოლის გატანა მიმდინარე ტურნირში პირდაპირ პრობლემად იქცა.

გურჯაანელთა კოლექტივი გარკვეულ სიძნელეებს განიცდის იმის გამო, რომ მისი რამდენიმე წამყვანი მოთამაშე სხვა გუნდებში გადავიდა.

მათგან განსხვავებით, სოხუმის „დინამო“ უკვე შეთამაშებული სახით გამოდის და, მართალია, ამ მატჩში მას ჰქონდა გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა, მისი რეალიზება ვერ მოხერხდა. მხოლოდ მატჩის მიწურულში სცადეს დინამოელებმა მეტოქის კარის აღება სხვადასხვა მანძილიდან დარტყმებით, მაგრამ ამაოდ — 0:0.

ძლიერი ქარი ამ დღეს საგრძნობლად უშლიდა ხელს თამაშს. გარდა ამისა, „ბურევესტნიკის“ სტადიონის დირექციამ ვერ უზრუნველყო მატჩები ბურთის მომწოდებელი ბიჭებით და მაყურებლები იმის მოწმენი იყვნენ, თუ როგორ დაძვრებოდნენ ფეხბურთელები სისტემატურად ტრიბუნებს ქვეშ, რათა ქარის მიერ გატაცებული ბურთები მოეტანათ.

* * *

სურათზე: გურჯაანელთა მეკარე ჭუნიაშვილი იღებს ძნელ ბურთს სოხუმელებთან მატჩში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

✦

„ენგური“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0 : 0.

„ენგური“: კაკარავა, აივაზოვი, ანუსი, კორკელია, დანელია, საფარიანი, ჯღარკავა, შამუგია, ხარჩილავა, ბულია, აბრალავა.

„მეტალურგი“: ადამოვი, გალოიანი, ანთიძე, აფციაური, ჩხიკვაძე, ივჩენკო, შარაშენიძე, ლობზევი, გემეზაშვილი, დავითულიანი, იობიძე.

მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

თითქმის მთელი თამაში მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და საგოლე მომენტებიც თითზე იყო ჩამოსათვლელი. „მეტალურგი“ შედარებით უფრო კოლექტიურად თამაშობდა. ზუგდიდელები კი უმთავრესად ინდივიდუალურად მოქმედებდნენ. მაგალითისთვის ავიღოთ გუნდის კაპიტანი ბულია. იგი წამყვან ფიგურას წარმოადგენს „ენგურში“ და, ბუნებრივია, გადაცემათა უმეტესობაც მისკენაა მიმართული. მაგრამ საკმარისია ბულიამ მიიღოს ბურთი, რომ გარშემო მყოფი პარტნიორები მას უკვე აღარ ახსოვს. შუა მინდორშიც კი, სადაც ეს სრულიად ზედმეტია, ბულია აჩერებს ბურთს და მანამ ატარებს მას, სანამ არ დაკარგავს.

რ. ქორიძე.

გუშინ...

ვეტერანის პრიზზე ერთმანეთს შეხვდნენ ტყიბულის „მეშახტე“ და ფოთის „კოლხიდა“. გაიმარჯვეს ტყიბულელებმა — 2:0.



აღვინიზმი... ქალაქში

სპორტული აჭონლის იაპონიის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა ფირმამ გადაწყვიტა, რომ ჩვეულებრივი აინათლის რეკლამა მყიდველებს ძველებურად ვეღარ იზიდავს. ფირმის მეაატრონეებმა ახალ ხერხს მიაგნეს და შუა ქალაქში, ფირმის შენობის პირველ და მეხუთე სართულებს შორის მთელი ხელოვნური „მთა“ აღმართეს. „მთის“ სიმაღლე 14 მეტრს აღემატება.

თავდაპირველად, რეკლამისთვის, „მთაზე“ ასპარეზი იაპონიის რამდენიმე ცნობილ მთამსვლელს დაეთმო. შემდეგ კი იგი ყველა მსურველისთვის გახდა ხელმისაწვდომი. რასაკვირველია, ორი პირობით. ჯერ ერთი, მოყვარულ მთამსვლელს ყოველ საათში საკმაოდ მოზრდილი თანხა უნდა გადაეხადა, მეორეც, „მთაზე“ ცოცვისას მხოლოდ ზემოხსენებული ფირმის საჭურვლით უნდა ესარგებლა. გაზეთებში აღინიშნა, რომ დღესდღეობით „მთამ გაამართლა“: მისი მშენებლობა 25 ათასი დოლარი დაჯდა, შემოსავალი კი გაცილებით მეტი იქნება.

ჟურნალი „შტერნი“ აქვეყნებს ამ ფოტოსურათს და აღნიშნავს, რომ „შუა ქალაქში აღმართული მსოფლიოში ეს ერთადერთი მთა უდიდესი სენსაციაა ყველასთვის“. — უფრო ზუსტად: მათთვის, ვისაც ბევრი ფული აქვს, რომ ამ ატრაქციონში მონაწილეობისთვის გადაიხადოს.



ევროპა: მეკარეთა შეცვლა შეიძლება

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ დიდი მასშტაბის ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში არ შეიძლება მოთამაშეთა შეცვლა. აშკარად შესამჩნევი ტრავმის შემთხვევაშიც კი მინდვრიდან გასული მოთამაშის ნაცვლად ახლის შემოყვანა ნებადართული არ არის.

ეს საკითხი მრავალჯერ იყო განსახილველად უმაღლეს საფეხბურთო ინსტანციებში, მაგრამ ტრადიციული კანონი დღემდე უცვლელად რჩებოდა ძალაში. სულ ახლახან ამ მიმართებით ნოვატორული ნაბიჯი (თუმცა, უფრო სწორად, ნახევარი ნაბიჯი) გადადგა ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა (უეფა). მისი დადგენილების თანახმად, ამიერიდან ევროპის ყველა ოფიციალური ტურნირის მატჩების დროს შეიძლება მეკარეთა შეცვლა.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ლელოს“ საკუთარი ინფორმაცია

„სელტიკი“ ამარცხებს დეგიუტანტს

უოტლანდიის ჩემპიონატის XXVII ტურში გლაზგოს „სელტიკმა“ გასვლით შეხვედრაში უაღრესად მნიშვნელოვანი 2 ქულა მოიპოვა: მოუგო I ლიგის ახალბედას „ჰამილტონ აკადემიკლსს“ — 7:1, ორ-ორი გოლი გაიტანეს ჯონსტონმა და მაკ-ბრაიდმა, თითო — ჰიუზმა, ჩალმერსმა და გალაჰერმა.

„სელტიკის“ ყველაზე სახიფათო მეტოქემ — „გლაზგო რეინჯერსმა“ კიდევ 1 ქულა დაკარგა კილმარნოკში, სადაც ფრედ ითამაშა „კილმარნოკთან“ — 1:1.

აი, როგორ გამოიყურება ლიდერთა სამეული 27 ტურის შემდეგ:

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	26	89:27	43
„გლაზგო რეინჯერსი“	26	74:25	41
„კილმარნოკი“	26	65:39	37

ჯერ 5:1, მერე... 5:5

ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში გათამაშების ლიდერი „ლივერპული“ შეხვდა ლივერპულის მეორე წარმომადგენელს უმაღლეს ლიგაში — „ევერტონს“. მატჩი უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა და ფრედ დამთავრდა — 0:0.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო ლონდონის „არსენალს“ — 2:1. მანჩესტერელთაგან გოლები გაიტანეს ლოუმ და ბესტმა.

საინტერესოდ წარიმართა „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და „ასტონ ვილას“ შეხვედრა. „ტოტენჰემი“ მეორე ნახევრის დასაწყისში წინ იყო ანგარიშით 5:1, მაგრამ „ასტონ ვილას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰიტლიმ ოთხჯერ ზედიზედ შეძლო ლონდონელთა კარის აღება — 5:5.

აი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	34	68:28	51
„ლიდს იუნაიტ.“	31	61:28	42
„ბერნლი“	33	65:51	42

„ჭვისჭი“ და მსოფლიო ჩემპიონაჭი

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ფოტოზე აღბეჭდილი იარაღი ერთმა დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ჯერ კიდევ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისას გამოიყენა, სპორტსმენთა აღიარება კი მან მხოლოდ ახლახან მოიპოვა.

ამ ფირფიტებიან ბორბლებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტული ფირმები აშზადებენ და სპორტულ მაღაზიებში ყიდიან.

იარაღი იძლევა ფეხის კუნთების თანაბარი განვითარების საშუალებას. ამას გარდა, მასზე შეიძლება უფრო „რთული“ პროგრამაც შესრულდეს: სპორტსმენი ტანს ხრის იმდენად, რომ ხელით მუხლს მიწვდეს, და მუხლჩაუხრელად მოძრაობს ბორბლებზე. პოპულარული ცეკვის ანალოგიით ამ სიახლეს „ტვისტი“ უწოდეს.

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა“ გამოაქვეყნა „ტვისტით“ გატაცებული ქალიშვილების ფოტოსურათი და აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყველა წევრმა უკვე კარგა ხანია შეიძინა ეს უცნაური ბორბლები და ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მათი დახმარებით ემზადება.

დასავლეთ გერმანიის ცნობილმა მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა განაცხადა, რომ „ტვისტი“ ფეხბურთელის ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების საუკეთესო საშუალებად მიაჩნია და მხარს უჭერს ამ გამოგონებას, რომელსაც ზოგიერთი სულ ტყუილად თვლის „საბავშვო გასართობად“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

ფეხბურთი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. **22 მარტი. შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება.** 15 ს. **„დინამო“ (სოხუმი)—„მეტალურგი“ (რუსთავი),** 17 ს. **„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ენგური“ (ზუგდიდი).**

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **23-25 მარტი. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების პირველობის დასკვნითი ტური.** ხვალ ერთმანეთს ხვდებიან: 13 ს. **„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)— ასკ (რიგა).** 14 ს. 30 წ. **ასკ (კიევი) — ასკ (ლენინგრადი).** 16 ს. **„უალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი),** 17 ს. 30 წ. **„კალევი“ (ტარტუ) — ცსკა,** 19 ს. **„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი),** 20 ს. 30 წ. **„სტროიტელი“ (კიევი) — ვეფ (რიგა).**

ჭადრაკი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). **23 მარტი-11 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. ხვალ — VI ტური.** დასაწყისი 17 ს.

ტყვიით სროლა. ავჭალის სასროლეთი. **22-27 მარტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

დღეს

თბილისის მასწავლებლის სახლის სხდომათა დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 3) მოწვეულია „ბანთიადის“ IV საქალაქო კონფერენცია.

დასაწყისი 12 ს.

25 მარტს

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის საქტო დარბაზში (ლენინის ქ. № 37) აწყობს **გიორგი ნიკოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს.**

დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05885